დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტი

დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის
მიმნიჭებელი ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამით
სწავლების ორგანიზებისა და მართვის დებულება

განახლებული რედაქცია 2021

პრეამბულა

დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს 1992 წლიდან, ხოლო 1997 წელს მასზე გაიცა საავტორო უფლება (№1-01/21-34).

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთსაფეხურიან ინტეგრირებულ უმაღლეს სამედიცინო განათლებას, რომლის წარმატებით დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი.

პროგრამის მიზანია საერთაშორისო დონის ეროვნული სამედიცინო კადრის მომზადება.

პროგრამის ამოცანაა სასწავლო კურსების პროგრამების შინაარსისა და მოცულობების შედგენა დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე სწავლებისა და სწავლის იმგვარი ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს:

- საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში ცოდნის თანამედროვე დონის მიღწევას;
- სწავლების შესაბამისი საფეხურისთვის (სამედიცინო სწავლების I საფეხური) აუცილებელი კლინიკური უნარების დაუფლებას;
- პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების შეძენას;
- მომავალი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში უწყვეტი სწავლისა და განვითარებისთვის მზადყოფნას.

პროგრამაზე დაშვება ხორციელდება დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად.

სწავლება მიმდინარეობს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

1. სასწავლო წლის ხანგრძლივობა და კრედიტების მოცულობა

1.1. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა 6 წლიანია და მისი მოცულობა შეადგენს 360 კრედიტს.

1.2. სასწავლო წელი მოიცავს 40 სამუშაო კვირას (240 სამუშაო დღეს) და შედგება ორი სემესტრისგან – შემოდგომის სემესტრი (20 კვირა) და გაზაფხულის სემესტრი (20 კვირა). სემესტრებს შორის არდადეგებია.

1.3. სწავლება ძირითად მიმდინარეობს კურაციული წესით – დღეების გარკვეული რაოდენობა ეთმობა ერთი საგნის შესწავლას.

1.4. მეცადინეობები ტარდება ყოველდღიურად, გარდა კვირისა.

1.5. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) დანერგვასთან დაკავშირებით სასწავლო წლის თითოეული 20 კვირიანი სემესტრის სასწავლო მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია სასწავლო კურსებზე (საგნებზე), ხოლო წლიური მოცულობა – 60 კრედიტს.

1.6. ერთი კრედიტი 30 სამუშაო საათია, აქედან, თითქმის ყველა სასწავლო კურსისთვის, 16 საათი საკონტაქტოა, ხოლო 14 საათი გამოყოფილია სტუდენტის დამოუკიდებელი

მუშაობისთვის. ერთი სამუშაო დღის განმავლობაში სტუდენტის მინიმალური დატვირთვა შეადგენს 4 საკონტაქტო საათს (1 საათი ლექცია და 3 საათი პრაქტიკუმის).

1.7. ყველა კურსზე ყოველდღიურად პრაქტიკული მეცადინეობების 3 საათი (3 საკონტაქტო საათი) ეთმობა წინა დღით ახსნილი მასალის ზეპირ გამოკითხვას, ახალი მასალის ახსნასა და (ან) პრაქტიკული ჩვევების ათვისებას.

2. სასწავლო კურსები (საგნები) და მათი მოცულობა

უმაღლეს სამედიცინო სკოლაში “აიეტი” დიპლომამდელი სწავლების 6 წლიანი პერიოდი მოიცავს 3 ეტაპს.

2.1. **თეორიული (საბაზისო) მედიცინის კურსი.** მას ეთმობა პირველი ხუთი სემესტრი (2,5 წელი). თეორიული (საბაზისო) მედიცინის სასწავლო მოცულობა შეადგენს 150 კრედიტს (150 ECTS).

2.1.1. I კურსზე მიმდინარეობს თემებზე ორიენტირებული სწავლება. სასწავლო კურსების პროგრამები ორგანიზებულია იმგვარად, რომ თითოეული სასწავლო კურსის ზოგადი ნაწილის გარდა შეისწავლება ის მასალა, რომელიც II კურსზე ადამიანის ორგანოთა სისტემების შესწავლისთვის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს.

2.1.2. II კურსი მთლიანად და III კურსის შემოდგომის სემესტრი (ანუ III–V სემესტრები) ეთმობა ადამიანის ორგანოთა სისტემების შესწავლას და საბაზისო მედიცინის სასწავლო კურსების პროგრამები ერთმანეთთან ჰორიზონტალურადაა ინტეგრირებული და დაკავშირებულია შინაგან სნეულებათა პროპედევტიკისა და ფარმაკოლოგიის შესწავლასთან (ვერტიკალური სწავლების ელემენტი) და ქმნის ორგანოთა სისტემების 9 მოდულს.

2.1.3. მოდულებსა და ცალკეულ სასწავლო კურსებზე გამოყოფილი კრედიტების ჯამი სემესტრის განმავლობაში შეადგენს 30 კრედიტს, ხოლო სასწავლო წლის განმავლობაში – 60 კრედიტს;

2.1.4. II კურსზე ისწავლება ორგანოთა სისტემების 6 მოდული: ძვალ–კუნთოვანი, რომელზედაც გამოყოფილია 7 კრედიტი, სისხლმბადი სისტემა და ინფექცია – 10 კრედიტი, გულ-სისხლძარღვთა – 11 კრედიტი, სასუნთქი – 9 კრედიტი, საჭმლის მომნელებელი – 10 კრედიტი, ნერვული სისტემა და კანი – 7 კრედიტი და სხვა სასწავლო კურსები - 6 კრედიტი.

2.1.5. III კურსზე (V სემესტრი) ისწავლება ორგანოთა სისტემების 3 მოდული და სხვა სასწავლო კურსები (მათი კრედიტების ჯამია 30 კრედიტი): საშარდე – 7 კრედიტი, რეპროდუქციული – 7 კრედიტი, ენდოკრინული – 9 კრედიტი და სხვა სასწავლო კურსები - 7 კრედიტი.

2.1.6. თითოეული სისტემის შესწავლა იწყება ემბრიოლოგიით, შემდეგ განიხილება მის შემადგენელ ორგანოთა სტრუქტურა მაკროსკოპულ (ანატომია) და მიკროსკოპულ (ჰისტოლოგია) დონეებზე და ნორმალური ფუნქციონირების კანონზომიერებანი (ფიზიოლოგია და ბიოქიმია). ამის შემდეგ შეისწავლება თითოეული სისტემის დაავადებათა ეტიოლოგია და პათოგენეზი (მიკრობიოლოგია, პათოლოგია – პათანატომია და პათფიზიოლოგია), პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასება, დაავადებათა ტიპური

კლინიკური სურათი, დიაგნოსტიკის საფუძვლები (პროპედევტიკა) და მედიკამენტური მკურნალობის საშუალებები (ფარმაკოლოგია).

ამგვარად თემებზე ორიენტირებულ (I კურსი) და სისტემებზე ორიენტირებულ (II–III კურსები) სწავლების პირველ ეტაპზე – თეორიული (საბაზისო) მედიცინის კურსში შეისწავლება:

1. ადამიანის ანატომია	16.5	კრედიტი
2. ჰისტოლოგია და ემბრიოლოგია	10.5	კრედიტი
3. სამედიცინო ფიზიოლოგია	15	კრედიტი
4. სამედიცინო ბიოქიმია	14	კრედიტი
5. სამედიცინო ფარმაკოლოგია	14.5	კრედიტი
6. სამედიცინო მიკრობიოლოგია	10	კრედიტი
7. იმუნოლოგია	5.5	კრედიტი
8. სამედცინო გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია	7	კრედიტი
9. პათოლოგია	23	კრედიტი
10. ქცევათმეცნიერება	6	კრედიტი
11. ბიოსტატისტიკა	2	კრედიტი
12. შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით	15	კრედიტი
13. ბიოსამედიცინო ეთიკა	2	კრედიტი
14. სამეცნიერო კვლევის საფუძვლები	4	კრედიტი
15. კლინიკური უნარ-ჩვევები	2	კრედიტი
16. ტოპოგრაფიული ანატომია	2	კრედიტი
17. ელექტიური საგნები	1	კრედიტი

2.2. **კლინიკური მედიცინის კურსი.** მას ეთმობა შემდეგი ხუთი (VI – X) სემესტრი. თითოეული სემესტრის სასწავლო მოცულობა კრედიტებში შეადგენს 30 კრედიტს. კლინიკური მედიცინის კურსის სასწავლო მოცულობა შეადგენს 150 კრედიტს, მათგან ელექტიური საგნების მოცულობა – 10 კრედიტს.

კლინიკური მედიცინის კურსში შეისწავლება:

1. შინაგანი სნეულებანი	42	კრედიტი
ა) კარდიოლოგია	7	კრედიტი
ბ) პულმონოლოგია	4	კრედიტი
გ) გასტროენტეროლოგია	4	კრედიტი
დ) ნეფროლოგია	3	კრედიტი
ე) ენდოკრინოლოგია და მეტაბოლიზმი	4	კრედიტი
ვ) რევმატოლოგია და სისტემური დაავადებები	3	კრედიტი
ზ) ჰემატოლოგია	3	კრედიტი

	თ) ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია	3	კრედიტი
	ი) კლინიკური ფარმაკოლოგია	4	კრედიტი
	კ) შინაგან დაავადებათა დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობა	7	კრედიტი
2. ქირურგია		**37**	**კრედიტი**
	ა) ზოგადი ქირურგია	8	კრედიტი
	ბ) კერძო ქირურგია	13	კრედიტი
	გ) ონკოლოგია	4	კრედიტი
	დ) უროლოგია	3	კრედიტი
	ე) ტრავმატოლოგია და ორთოპედია	3	კრედიტი
	ვ) ოტორინოლარინგოლოგია	3	კრედიტი
	ზ) ოფთალმოლოგია	3	კრედიტი
3. მეან-გინეკოლოგია		**12**	**კრედიტი**
4. პედიატრია		**8**	**კრედიტი**
5. ინფექციური სნეულებანი		**7**	**კრედიტი**
6. ნერვული სნეულებანი		**7**	**კრედიტი**
7. ფსიქიატრია		**6**	**კრედიტი**
8. ჯანდაცვის ორგანიზაცია და ეპიდემიოლოგია		**6**	**კრედიტი**
9. სამედიცინო რენტგენოლოგია და რადიოლოგია		**4**	**კრედიტი**
10. დერმატოვენეროლოგია		**4**	**კრედიტი**
11. პროფილაქტიკური მედიცინა ეკოლოგიით		**4**	**კრედიტი**
12. სამეცნიერო კვლევის საფუძვლები		**6**	**კრედიტი**
13. კლინიკური უნარ-ჩვევები		**1**	**კრედიტი**
14. სამედიცინო საქმიანობის სამართლებლივი ასპექტები		**2**	**კრედიტი**
15. ელექტიური საგნები		**4**	**კრედიტი**

2.3. **ზოგადი სპეციალიზაციის კურსი.** მას ეთმობა ერთი სასწავლო წელი (VI კურსი). სტუდენტები ზოგად სპეციალიზაციას გადიან შემდეგ კლინიკურ დისციპლინებში:

1. შინაგანი სნეულებანი		**19**	**კრედიტი**
	ა) შინაგან სნეულებათა სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკა და გადაუდებელი თერაპია	14	კრედიტი
	ბ) რაციონალური ფარმაკოთერაპია	3	კრედიტი
	გ) ფიზიოთერაპია და რეაბილიტაცია	2	კრედიტი
2. ქირურგია		**11**	**კრედიტი**
	ა) ბავშვთა ქირურგია	3	კრედიტი
	ბ) ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია	3	კრედიტი
	გ) გადაუდებელი ქირურგია	5	კრედიტი

3. მეან-გინეკოლოგია	**7**	**კრედიტი**
4. პედიატრია	**7**	**კრედიტი**
5. ინფექციური სნეულებანი	**3**	**კრედიტი**
6. ნერვული სნეულებანი	**3**	**კრედიტი**
7. კლინიკური უნარ-ჩვევები	**4**	**კრედიტი**
8. ელექტიური საგნები	**6**	**კრედიტი**

2.4. პრაქტიკული საექიმო საქმიანობის სრულყოფის, ავადმყოფის სიტუაციური კლინიკური მდგომარეობის დროული დიაგნოსტიკისა და რაციონალური მკურნალობის მეთოდების დაუფლების მიზნით, კლინიკური სასწავლო კურსები (საგნები) ისწავლება ეტაპობრივად, მაგალითად: შინაგანი სნეულებების სწავლება თანდათან ღრმავდება ვერტიკალურად, ქვემოდან ზემოთ: პროპედევტიკა (დიაგნოსტიკის მეთოდები, II – III კურსები), კერძო პათოლოგია (ნოზოლოგიათა ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა, მკურნალობის პრინციპები) – III –V კურსი, შინაგან სნეულებათა დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობა – V კურსი, შინაგან სნეულებათა სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკა და გადაუდებელი თერაპია – VI კურსი.

2.5. კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსები (საგნები) სტრუქტურირებულია მოდულებში, რომელთა უმრავლესობა ორგანოთა სისტემების დაავადებებს აერთიანებს.

2.5.1. III კურსზე ისწავლება ორგანოთა სისტემების 2 მოდული: გულ–სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, რომელზედაც გამოყოფილია 10 კრედიტი და სისხლმბადი სისტემისა და ონკოლოგიური დაავადებები – 7 კრედიტი. დანარჩენი კრედიტები დათმობილი აქვს კლინიკური მედიცინის მეცნიერებებში შესავლის მოდულის (10 კრედიტი) და სხვა სასწავლო კურსების (3 კრედიტი) შესწავლას.

2.5.2. IV კურსზე ისწავლება ორგანოთა სისტემების 5 მოდული: ძვალ–კუნთოვანი სისტემის, კანისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები – 12 კრედიტი, სასუნთქი სისტემის დაავადებები – 7 კრედიტი, ენდოკრინული და მეტაბოლური დაავადებები – 5 კრედიტი, ნერვული სისტემისა და გრძნობათა ორგანოების დაავადებები-**1** – 8 კრედიტი, ნერვული სისტემისა და გრძნობათა ორგანოების დაავადებები-**2** – 9 კრედიტი. დანარჩენი კრედიტები დათმობილი აქვს ნორმალური და არანორმალური ზრდა–განვითარების მოდულის (15 კრედიტი) და სხვა სასწავლო კურსების (4 კრედიტი) შესწავლას.

2.5.3. V კურსზე ისწავლება ორგანოთა სისტემების 4 მოდული: საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები – 12 კრედიტი, იმუნური სისტემისა და ინფექციური დაავადებები – 12 კრედიტი, საშარდე სისტემის დაავადებები – 5 კრედიტი, რეპროდუქციული სისტემის დაავადებები – 6 კრედიტი. დანარჩენი კრედიტები დათმობილი აქვს შინაგან სნეულებათა დიფერენციული დიაგნოსტიკისა და კლინიკური ფარმაკოლოგიის მოდულის (11 კრედიტი), პრევენციული მედიცინისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების მოდულის (10 კრედიტი) და სხვა სასწავლო კურსების (6 კრედიტი) შესწავლას.

2.6. VI კურსის პროგრამაში ჩართულია ფარმაკოთერაპიის პრობლემური სწავლების ციკლი, რომელიც შემოთავაზებულია ჰოლანდიის ქ. გრონინგენის უნივერსიტეტის მიერ (გრონინგენის მეთოდი). მისი მიზანია მომავალ ექიმს გამოუმუშაოს

კონკრეტული ავადმყოფისთვის ფარმაკოლოგიური პრეპარატის შერჩევის პრაქტიკული ჩვევა და შეაჩვიოს სტუდენტი ლოგიკური აზროვნების საფეხურებრივ პროცესს დიაგნოზიდან ავადმყოფის მკურნალობამდე. ციკლის ბოლოს ტარდება ობიექტური კლინიკური გამოცდა - OSCE (Objective Structured Clinical Examination), რომლის დროსაც თითოეული სტუდენტი გვევლინება ხან პაციენტის, ხან ექიმისა და, ხან კი, ცოდნის დონის შემფასებლის როლში.

2.7. სტუდენტის კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება წარმოებს კლინიკური უნარ-ჩვევების ცალკეული სასწავლო კურსებისა (5 სასწავლო კურსი, ჯამში 7 კრედიტი) და ყველა კლინიკური სასწავლო კურსის ფარგლებში მათთვის გამოყოფილი შესაბამისი კრედიტ-საათების საფუძველზე. ჯამში კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლაზე გამოყოფილია 67 კრედიტი.

2.8. სტუდენტის სამეცნიერო უნარ-ჩვევების გამომუშავება ხორციელდება სამეცნიერო კვლევის საფუძვლების 5 სასწავლო კურსის მეშვეობით, რომლებიც ჯამში შეადგენს 10 კრედიტს. მათ შორის, 6 კრედიტი ეთმობა თეორიულ ასპექტებს (სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 1, 2, 3), ხოლო დანარჩენი 4 - სამეცნიერო ნაშრომების შესრულებას.

2.9. სწავლებაში გამოიყენება დარგის წამყვან უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში გამოყენებული/რეკომენდირებული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები. სასწავლო პროცესს წარმართავენ რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტები.

2.10. სასწავლო პროცესში გამოიყენება ექიმთა სპეციალიზაციის ქართული ფონდის მიერ შეძენილი და აშშ-დან მიღებული სამედიცინო ბიბლიოთეკა, ამერიკის ექიმთა ასოციაციის ვიდეო-აუდიოთეკა, ფართოდ გამოიყენება კომპიუტერული სწავლების საშუალებები (კომპიუტერული კლასები, ინტერნეტი), პედაგოგთა სასწავლო თვალსაჩინოებები (პრეპარატები, სლაიდები, ატლასები და სხვა).

2.11. სწავლების პროცესში გამოყენებულია შემდეგი ფორმები:

- ინტერაქტიური ლექციები და სემინარები
- კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching)
- სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება
- პაციენტისა და ექიმის როლების შესრულება
- ლაბორტორიული სწავლება
- პრეზენტაციები
- სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა

3. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება ECT სისტემით – ლათინური ასოებისა და შესაბამისი რიცხვობრივი ექვივალენტების (ქულების) საშუალებით. შეფასების ეს სისტემა უშვებს:

3.1.ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი, 5 – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი, 4 – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი, 3 – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი, 2 – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი, 1 – მაქსიმალური შეფასების 51-60%.

3.2. ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა, 0 – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა, 0 – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

4. საბაზისო მედიცინა

საბაზისო მედიცინის სასწავლო კურსები (საგნები) შედის მოდულების შემადგენლობაში. თითოეული მოდული შედგება საგნობრივი ბლოკებისგან, რომელთა შეფასება, ისევე როგორც მოდულის საბოლოო შეფასება, ხდება ქვიზის (იხ. პუნქტები **4.2** და **4.3.4**) ჩაბარების შემდეგ.

4.1. ***ზეპირი პრექვიზური ჩათვლები.*** თითოეულ საგნობრივ ბლოკში, რომელიც შედის მოდულის შემადგენლობაში სტუდენტი აბარებს ***ზეპირ პრექვიზურ ჩათვლას*** ნიშანზე. სემესტრის განმავლობაში სტუდენტს ერთსა და იმავე სასწავლო კურსში შეიძლება ჩასაბარებელი ჰქონდეს რამდენიმე პრექვიზური ჩათვლა. მათგან მხოლოდ ***ერთს,*** რომელიც სასწავლო ცხრილით წინასწარაა დადგენილი, იბარებს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ჯგუფების პედაგოგებთან ერთად.

4.1.1. ზეპირი პრექვიზური ჩათვლის შეფასება ხდება ECT სისტემით – ლათინური ასოებისა და შესაბამისი რიცხვობრივი ექვივალენტების (ქულების) საშუალებით:

A (ფრიადი) – 5 (Pass - ჩააბარა)
B (ძალიან კარგი) – 4 (Pass - ჩააბარა)
C (კარგი) – 3 (Pass - ჩააბარა)
D (დამაკმაყოფილებელი) – 2 (Pass - ჩააბარა)
E (საკმარისი) –1 (Pass - ჩააბარა)
FX (ვერ ჩააბარა) – 0 (Fail - ვერ ჩააბარა)

4.1.2. თუ სტუდენტს გაცდენილი აქვს მოდულის მასალაში შემავალი რომელიმე საგნობრივი ბლოკის კურაციაზე გამოყოფილი საათების 20%-ზე მეტი ის ამ საგნობრივი ბლოკის ზეპირ პრექვიზურ ჩათვლაზე არ დაიშვება. ამ ჩათვლის გადაბარება სტუდენტს შეუძლია მხოლოდ გაცდენილი პრაქტიკული მეცადინეობების აღდგენის შემდეგ. ზეპირი პრექვიზური ჩათვლების გადაბარება, რომელსაც სასწავლო კურსის ხელმძღანელი იბარებს, სტუდენტს შეუძლია მხოლოდ სასწავლო ცხრილით დადგენილ ვადებში.

4.2. **კომპლექსური ტესტური გამოცდა – ქვიზი (Quiz).** საბაზისო მედიცინის შესწავლისას თითოეულ სემესტრში პერიოდულად, გარკვეული მოდულის გავლის შემდეგ, ამ მოდულის შესაფასებლად ტარდება ***კომპლექსური ტესტური გამოცდა – ქვიზი (Quiz).*** თითოეულ სემესტრში სტუდენტს 3 ქვიზი აქვს ჩასაბარებელი.

4.2.1. ქვიზზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც პრაქტიკულ მეცადინეობებზე დამუშავებული აქვს მოდულის საგნობრივ ბლოკებში შეტანილი მასალა და თითოეულ საგნობრივ ბლოკში მიღებული აქვს ზეპირი პრექვიზური ჩათვლა (Pass).

4.3. **მოდულისა და საგნობრივი ბლოკების შეფასება.** მოდულის შეფასება წარმოებს ქულებით, როგორც ჯამურად, ისე ცალკეული საგნობრივი ბლოკების მიხედვით. კრედიტების, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გამოყენებით.

4.3.1. თითოეულ საგნობრივ ბლოკში სტუდენტის მოსწრება ფასდება საგნობრივი ბლოკის კომპონენტებით. მოდულში შემავალი თითოეული საგნობრივი ბლოკის, ისევე როგორც მთლიანად მოდულის შესაფასებლად გამოიყენება ოთხი კომპონენტი.

I კომპონენტია საგნობრივი ბლოკის ლექცია-პრაქტიკულებზე სტუდენტის ***დასწრების მაჩვენებელი***. I კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 5 ქულა.***

მოდულის I კომპონენტი მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების I კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

II კომპონენტი – საგნობრივი ბლოკის პრაქტიკულებზე სტუდენტის ***აქტიურობის მაჩვენებელი***. II კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 25 ქულა.***

პრაქტიკულ მეცადინეობაზე სტუდენტის აქტიურობის შეფასებისას ლათინური ასოებით მიღებულ შეფასებას რიცხვობრივ ექვივალენტზე გადაანგარიშებით შეესაბამება:

A-ს – 25 ქულა (25 – 100%)
B-ს – 22.5 ქულა (25 x 0.9)
C-ს – 20 ქულა (25 x 0.8)
D-ს – 17.5 ქულა (25 x 0.7)
E-ს – 12.75 ქულა (25 x 0.51)

თუ სტუდენტის მიერ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული 12.75 ქულაზე (II კომპონენტის მაქსიმალური ქულის 51%-ზე) ნაკლები იქნება, მაშინ სტუდენტს II კომპონენტი შესრულებულად **არ ჩაეთვლება** და იგი ზეპირ პრექვიზურ ჩათვლაზე (III კომპონენტი) **არ დაიშვება** II კომპონენტის ხელახლად გავლის გარეშე.

მოდულის II კომპონენტი მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების II კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

III კომპონენტი – ზეპირ პრექვიზურ ჩათვლაში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება, ანუ ***ზეპირი ჩათვლის მაჩვენებელი.*** III კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 30 ქულა.***

ზეპირი პრექვიზური ჩათვლის შეფასებისას ლათინური ასოებით მიღებულ შეფასებას რიცხვობრივ ექვივალენტზე გადაანგარიშებით შეესაბამება:

A-ს – 30 ქულა (30 – 100%)
B-ს – 27 ქულა (30 x 0.9)
C-ს – 24 ქულა (30 x 0.8)

D-ს – 21 ქულა (30 x 0.7)

E-ს – 15.3 ქულა (30 x 0.51)

მოდულის III კომპონენტი მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების III კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

IV კომპონენტი – სტუდენტის მიერ ქვიზში მიღებული შეფასება, ანუ ***დასკვნითი შეფასება*** ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ანუ ***გამოცდის მაჩვენებელი.*** IV კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 40 ქულა.***

დასკვნითი შეფასების გამოსათვლელად საჭიროა გამოცდაზე (ქვიზზე) სტუდენტის მიერ, როგორც თითოელ საგნობრივ ბლოკში, ისე ჯამურად, ანუ მთლიანად მოდულში, ECTS-ს 100 ქულიანი სკალით დაგროვილი ქულა გამრავლდეს 0,4-ზე, რადგან საგნობრივ ბლოკში, ისევე როგორც მოდულში, სტუდენტის მოსწრების შესაფასებლად გამოყენებულ კომპონენტებიდან ამ კომპონენტზე 40% მოდის.

4.3.2. **<u>პრექვიზური ქულა,</u>** საგნობრივი ბლოკის ***შუალედური შეფასებების*** (ანუ პირველ სამ (I-III) კომპონენტში სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულების) ჯამი პრექვიზური (ქვიზის წინა) მოსწრების შეფასებაა (***პრექვიზური ქულა***). სტუდენტს პირველ სამ (I-III) კომპონენტში შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 60 პრექვიზური ქულა.***

მოდულის შუალედური შეფასებების ჯამი, ანუ **პრექვიზური ქულა**, მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების შუალედური შეფასებების (პრექვიზურ ქულათა) საშუალო არითმეტიკულია.

<u>4.3.3.</u> ქვიზზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც თითოეული საგნობრივი ბლოკის, ისევე როგორც მოდულის შუალედური შეფასებების (I-III კომპონენტების) დაჯამების შედეგად უგროვდება **31 ქულა**. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი ***ქვიზზე არ დაიშვება***.

<u>4.3.4.</u> ***მოდული ჩაითვლება*** თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე ანუ ქვიზში ECTS 100 ქულიანი სკალით ჯამში, ისევე როგორც თითოეულ საგნობრივ ბლოკში მოაგროვებს 51 ქულას ან მეტს. თუ ქვიზის ჯამური შეფასება 51 ქულის ტოლია ან აღემატება მას და საგნობრივი ბლოკების ნახევარზე მეტში (50% + 1) სტუდენტი მოაგროვებს 51 ქულას ან მეტს, მას ***მოდული ჩაეთვლება პირობითად*** ჩავარდნილი საგნობრივი ბლოკების გადაბარებამდე. თუ ქვიზის ჯამური შეფასება 51 ქულის ტოლია ან აღემატება მას, მაგრამ სტუდენტმა საგნობრივი ბლოკების ნახევარში ან მეტში ECTS-ს 100 ქულიანი სკალით მიიღო 51 ქულაზე ნაკლები – ***მოდული არ ჩაითვლება***.

<u>4.3.5.</u> მოდულში შემავალი თითოეული საგნობრივი ბლოკი ჩაითვლება თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე ანუ ქვიზში ECTS-ს 100 ქულიანი სკალით ამ საგნობრივ ბლოკში მოაგროვებს 51 ქულას ან მეტს.

<u>4.3.6.</u> მოდულში შემავალი თითოეული ***საგნობრივი ბლოკის საბოლოო შეფასება (ქვიზის ქულა)*** წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს.

<u>4.3.7.</u> თუ სტუდენტმა ქვიზის ჩაბარებისას ან გადაბარებისას **პირობითად ჩათვალა** მოდული (მიიღო ჩათვლისთვის აუცილებელი ჯამური შეფასება არანაკლებ 51 ქულისა), მაგრამ საგნობრივი ბლოკების ნახევარზე ნაკლებში ვერ მოაგროვა 51 ქულა ან მეტი, მაშინ მან თითოეული ჩავარდნილი საგნობრივი ბლოკი უნდა გადააბაროს.

<u>4.3.8.</u> მოდულში ჩავარდნილი საგნობრივი ბლოკის გადაბარება ხდება ტესტურად სემესტრის განმავლობაში.

4.3.9. მოდულში ჩავარდნილი საგნობრივი ბლოკის (ბლოკების) გადაბარებისას დადებითი შეფასების (შეფასებების) მიღების შემთხვევაში მოდული ითვლება შესრულებულად **(ჩათვლილად)** და სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კრედიტები.

4.3.10. ***მოდულის საბოლოო შეფასება (ქვიზის ქულა)*** წარმოადგენს მასში შემავალი ცალკეული საგნობრივი ბლოკების შუალედური შეფასებების საშუალო არიტმეტიკულისა და მოდულის დასკვნითი შეფასების ჯამს.

4.3.11. მოდულის, ისევე როგორც მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების საბოლოო შეფასება ხდება როგორც ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ისე ECTS-ს რიცხვობრივი ექვივალენტით (ქულით) – **Grade Point (GP)** 1-დან 5-ის ჩათვლით და შესაბამისი ლათინური ასოებით, ანუ ნიშანით – **Mark.**

ჩააბარა/ ვერ ჩააბარა	ECTS-ს 100 ქულიანი სკალით	ECTS-ს რიცხობრივი ექვივალენტი (GP)	Mark (ნიშანი)
> 50 (Pass – ჩააბარა)	> 90	5	A (ფრიადი)
> 50 (Pass – ჩააბარა)	81 – 90	4	B (ძალიან კარგი)
> 50 (Pass – ჩააბარა)	71 – 80	3	C (კარგი)
> 50 (Pass – ჩააბარა)	61 – 70	2	D (დამაკმაყოფილებელი)
> 50 (Pass – ჩააბარა)	51 – 60	1	E (საკმარისი)
41 - 50	Fail	0	FX (ვერ ჩააბარა)
0 - 40	Fail	0	F (ჩაიჭრა)

4.3.12. თუ სტუდენტმა მოდულის საბოლოო შეფასებისას ჯამში დააგროვა 51 ქულაზე ნაკლები, კერძოდ, 41 – 50 ქულა, მაშინ ითვლება, რომ სტუდენტმა მოდული **ვერ ჩააბარა** [შეფასება FX (0)] და მას ეძლევა ამ მოდულის დასკვნითი გამოცდის (ქვიზის) განმეორებით ჩაბარების უფლება მოდულის საგნობრივი ბლოკების დანარჩენი კომპონენტების (I-III) ხელახალი გავლის გარეშე.

4.3.13. მოდულის საბოლოო შეფასებისას სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად თუ მან ჯამში დააგროვა 41 ქულაზე ნაკლები (0 – 40 ქულა) და, შესაბამისად, მიიღო შეფასება F(0). ამ შემთხვევაში სტუდენტს არ ეძლევა ქვიზის (მოდულის) გადაბარების უფლება, არ ენიჭება შესაბამისი კრედიტები და მას მოუწევს მოდულის საგნობრივი ბლოკების კომპონენტთა (I-III) ხელახალი გავლა.

4.3.14. ქვიზის გადაბარება შეიძლება სემესტრის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ – სემესტრის ბოლოს.

5. კლინიკური მედიცინა

კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსები (საგნები) შედის მოდულების შემადგენლობაში. თითოეული მოდული შედგება საგნობრივი ბლოკებისგან, რომელთა შეფასება, ისევე როგორც მოდულის საბოლოო შეფასება, ხდება ქვიზის ჩაბარების შემდეგ.

5.1. ზეპირი პრექვიზური ჩათვლები კლინიკურ სასწავლო კურსებში.

თითოეულ საგნობრივ ბლოკში, რომელიც შედის მოდულის შემადგენლობაში სტუდენტი აბარებს ***ზეპირ პრექვიზურ ჩათვლას*** ნიშანზე.

5.1.1. კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსებში ჩათვლები ტარდება კურაციის დამთავრების შემდეგ, რომელსაც იბარებს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ჯგუფების პედაგოგებთან ერთად.

5.1.2. ზეპირი პრექვიზური ჩათვლის შეფასება ხდება ECTS-ს სისტემით – ლათინური ასოებისა და შესაბამისი რიცხვობრივი ექვივალენტების (ქულების) საშუალებით (იხ. პუნქტი **4.1.1**).

5.1.3. კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსების ზეპირ პრექვიზურ ჩათვლაზე სტუდენტი არ დაიშვება თუ მას კურაციის პერიოდში გაცდენილი ექნება ამ საგნის კურაციაზე გამოყოფილი დღეების 10%-ზე მეტი. ამ ჩათვლის გადაბარება სტუდენტს შეუძლია მხოლოდ გაცდენილი პრაქტიკული მეცადინეობების აღდგენის შემდეგ.

5.2. **კომპლექსური ტესტური გამოცდა – ქვიზი (Quiz).** კლინიკური მედიცინის შესწავლისას თითოეულ სემესტრში პერიოდულად, გარკვეული მოდულის გავლის შემდეგ, ამ მოდულის შესაფასებლად ტარდება ***კომპლექსური ტესტური გამოცდა – ქვიზი (Quiz).*** თითოეულ სემესტრში სტუდენტს 3 ქვიზი აქვს ჩასაბარებელი.

5.2.1. ქვიზზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც დამუშავებული აქვს მოდულის საგნობრივ ბლოკებში შეტანილი მასალა და თითოეულ საგნობრივ ბლოკში მიღებული აქვს ზეპირი პრექვიზური ჩათვლა.

5.3. **მოდულისა და კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსების შეფასება.** მოდულის შეფასება წარმოებს ქულებით, როგორც ჯამურად, ისე კლინიკური მედიცინის საგნობრივი ბლოკების მიხედვით კრედიტების, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გამოყენებით.

5.3.1. კლინიკური მედიცინის საგნობრივი ბლოკის, ისევე როგორც მთლიანად მოდულის შესაფასებლად გამოიყენება ხუთი კომპონენტი.

I კომპონენტია კლინიკური მედიცინის საგნობრივი ბლოკის ლექცია-პრაქტიკულებზე სტუდენტის ***დასწრების მაჩვენებელი***. I კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 5 ქულა.***

მოდულის I კომპონენტი მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების I კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

II კომპონენტი – სტუდენტის **აქტიურობის მაჩვენებელი**. II კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 20 ქულა***.

მოდულის II კომპონენტი მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების II კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

III კომპონენტი – კლინიკური მედიცინის საგნობრივი ბლოკის შესწავლისას ათვისებული ***კლინიკური უნარ–ჩვევების შეფასება.*** III კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 15 ქულა.***

მოდულის III კომპონენტი მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების III კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

IV კომპონენტი – ზეპირ პრექვიზურ ჩათვლაში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება, ანუ ***ზეპირი ჩათვლის მაჩვენებელი.*** IV კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 20 ქულა.***

მოდულის IV კომპონენტი მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების IV კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

V კომპონენტი – სტუდენტის მიერ ქვიზზე როგორც ცალკეულ საგნობრივ ბლოკში, ისე **მთლიანად ქვიზში** მიღებული ***დასკვნითი შეფასება*** ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ანუ ***გამოცდის მაჩვენებელი.*** V კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 40 ქულა.***

დასკვნითი შეფასების გამოსათვლელად საჭიროა გამოცდაზე (ქვიზზე) სტუდენტის მიერ, როგორც თითოელ საგნობრივ ბლოკში, ისე ჯამურად, ანუ მთლიანად ქვიზში, ECTS-ს 100 ქულიანი სკალით დაგროვილი ქულა გამრავლდეს 0,4-ზე, რადგან სტუდენტის მოსწრების შესაფასებლად გამოყენებული კომპონენტებიდან ამ კომპონენტზე 40% მოდის.

5.3.2. **<u>პრექვიზური ქულა,</u>** კლინიკური მედიცინის საგნობრივი ბლოკის შუალედური შეფასებების (ანუ პირველ ოთხ (I-IV) კომპონენტში სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულების) ჯამი პრექვიზური (ქვიზის წინა) მოსწრების შეფასებაა (***პრექვიზური ქულა***).

სტუდენტს პირველ ოთხ (I–IV) კომპონენტში შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 60 პრექვიზური ქულა.***

მოდულის შუალედური შეფასებების ჯამი, ანუ **პრექვიზური ქულა**, მასში შემავალი ცალკეული საგნობრივი ბლოკების შუალედური შეფასებების (პრექვიზურ ქულათა) საშუალო არითმეტიკულია.

5.3.3. ქვიზზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც თითოეული საგნობრივი ბლოკის, ისევე როგორც მოდულის შუალედური შეფასებების (I-IV კომპონენტების) დაჯამების შედეგად უგროვდება **31 ქულა**. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი ***ქვიზზე არ დაიშვება***.

5.3.4. ***მოდული ჩაითვლება*** თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე ანუ ქვიზში ECTS 100 ქულიანი სკალით ჯამში, ისევე როგორც თითოეულ საგნობრივ ბლოკში მოაგროვებს 51 ქულას ან მეტს. თუ ქვიზის ჯამური შეფასება 51 ქულის ტოლია ან აღემატება მას და საგნობრივი ბლოკების ნახევარზე მეტში (50% + 1) სტუდენტი მოაგროვებს 51 ქულას ან მეტს, მას ***მოდული ჩაეთვლება პირობითად*** ჩავარდნილი საგნობრივი ბლოკების გადაბარებამდე. თუ ქვიზის ჯამური შეფასება 51 ქულის ტოლია ან აღემატება მას, მაგრამ სტუდენტმა საგნობრივი ბლოკების ნახევარში ან მეტში ECTS-ს 100 ქულიანი სკალით მიიღო 51 ქულაზე ნაკლები – ***მოდული არ ჩაითვლება***.

5.3.5. თუ სტუდენტმა ქვიზის ჩაბარებისას ან გადაბარებისას **პირობითად ჩათვალა** მოდული (მიიღო ჩათვლისთვის აუცილებელი ჯამური შეფასება არანაკლებ 51 ქულისა), მაგრამ საგნობრივი ბლოკების ნახევარზე ნაკლებში ვერ მოაგროვა 51 ქულა ან მეტი, მაშინ მან თითოეული ჩავარდნილი საგნობრივი ბლოკი უნდა გადააბაროს ტესტურად სემესტრის განმავლობაში.

5.3.6. კლინიკური მედიცინის საგნობრივი ბლოკი ჩაითვლება თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე ანუ ქვიზში ECTS-ს 100 ქულიანი სკალით ამ საგნობრივ ბლოკში მოაგროვებს 51 ქულას ან მეტს.

5.3.7. კლინიკური მედიცინის ***საგნობრივი ბლოკის საბოლოო შეფასება (ქვიზის ქულა)*** წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს.

5.3.8. ***მოდულის საბოლოო შეფასება (ქვიზის ქულა)*** წარმოადგენს მასში შემავალი ცალკეული საგნობრივი ბლოკების შუალედური შეფასებების საშუალო არიტმეტიკულისა და მოდულის დასკვნითი შეფასების **(Quiz Total Score)** ჯამს.

5.3.9. მოდულის, ისევე როგორც კლინიკური მედიცინის საგნობრივი ბლოკების საბოლოო შეფასება ხდება როგორც ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ისე ECTS-ს

რიცხვობრივი ექვივალენტით (ქულით) – **Grade Point (GP)** 1-დან 5-ის ჩათვლით და შესაბამისი ლათინური ასოებით, ანუ ნიშანით – **Mark** (იხ. პუნქტი **4.3.11**).

5.3.10. თუ სტუდენტმა მოდულის საბოლოო შეფასებისას ჯამში დააგროვა 51 ქულაზე ნაკლები, კერძოდ, 41 – 50 ქულა, მაშინ ითვლება, რომ სტუდენტმა მოდული **ვერ ჩააბარა** [შეფასება FX (0)] და მას ეძლევა ამ მოდულის განმეორებით ჩაბარების უფლება.

5.3.11. მოდულის საბოლოო შეფასებისას სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად თუ მან ჯამში დააგროვა 41 ქულაზე ნაკლები (0 – 40 ქულა) და, შესაბამისად, მიიღო შეფასება F(0). ამ შემთხვევაში სტუდენტს არ ეძლევა ქვიზის გადაბარების უფლება, არ ენიჭება შესაბამისი კრედიტები და მას მოუწევს საგნობრივი ბლოკების დანარჩენი კომპონენტების (I-IV) ხელახალი გავლა.

5.3.12. ქვიზის გადაბარება შეიძლება სემესტრის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ – სემესტრის ბოლოს.

6. სემესტრის დახურვა და მომდევნო სემესტრში გადასვლა

6.1. სემესტრი დახურულად (სემესტრში შემავალი მოდულების, საგნობრივი ბლოკების და აკადემიური კურსების კრედიტები შესრულებულად) ითვლება, თუ სტუდენტი ჩააბარებს სამივე ქვიზს და მათში შემავალ თითოეულ საგნობრივ ბლოკს, აგრეთვე სემესტრში შემავალ ელექტიურ და სპეციალურ აკადემიურ კურსებს. სტუდენტი, რომელიც დახურავს მიმდინარე სემესტრს, სწავლას აგრძელებს მომდევნო სემესტრში.

6.2. თუ სტუდენტი მიმდინარე სემესტრში სამი ქვიზიდან ვერ ჩააბარებს თუნდაც ერთ ქვიზს, ის ვერ გადადის მომდევნო სემესტრში და თავიდან სწავლობს მიმდინარე სემესტრის მასალას.

7. ზოგადი სპეციალიზაცია

7.1. ზეპირი პრექვიზური ჩათვლები ზოგადი სპეციალიზაციის სასწავლო კურსებში.

7.1.1. ზოგადი სპეციალიზაციის სასწავლო კურსებში ჩათვლები ტარდება ცალკეული თემების დამთავრების შემდეგ. მოცემულ სასწავლო კურსში კურაციის დამთავრების შემდეგ სტუდენტი აბარებს ***ზეპირ პრექვიზურ ჩათვლას.***

7.1.2. ზეპირი პრექვიზური ჩათვლის შეფასება ხდება ECTS-ს სისტემით – ლათინური ასოებისა და შესაბამისი რიცხვობრივი ექვივალენტების (ქულების) საშუალებით (იხ. პუნქტი **4.1.1**).

7.1.3. ზოგადი სპეციალიზაციის სასწავლო კურსების ზეპირ პრექვიზურ ჩათვლაზე სტუდენტი არ დაიშვება თუ მას კურაციის პერიოდში გაცდენილი ექნება ამ საგნის კურაციაზე გამოყოფილი დღეების 10%-ზე მეტი. ამ ჩათვლის გადაბარება სტუდენტს შეუძლია მხოლოდ გაცდენილი მეცადინეობების აღდგენის შემდეგ.

7.2. **<u>კომპლექსური ტესტური გამოცდა – ქვიზი (Quiz).</u>** ზოგადი სპეციალიზაციის გავლისას ქვიზი ტარდება სემესტრში მხოლოდ ერთხელ ყოველი სემესტრის ბოლოს იმ სასწავლო კურსებში, რომლებსაც სტუდენტი სემესტრის განმავლობაში სწავლობდა.

7.2.1. ქვიზზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც ქვიზში შეტანილ ყველა სასწავლო კურსში ჩაბარებული აქვს ზეპირი პრექვიზური ჩათვლა.

7.3. **<u>ქვიზისა და ზოგადი სპეციალიზაციის სასწავლო კურსების შეფასება.</u>** ქვიზის შეფასება წარმოებს ქულებით, როგორც ჯამურად, ისე ზოგადი სპეციალიზაციის ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით კრედიტების, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გამოყენებით.

7.3.1. ზოგადი სპეციალიზაციის სასწავლო კურსის, ისევე როგორც მთლიანად ქვიზის შესაფასებლად გამოიყენება ხუთი კომპონენტი.

I კომპონენტია სასწავლო კურსის ლექცია-პრაქტიკულებზე სტუდენტის ***დასწრების მაჩვენებელი.*** I კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 5 ქულა.***

ქვიზის I კომპონენტი მასში შემავალი სასწავლო კურსების I კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

II კომპონენტი – სტუდენტის **აქტიურობის მაჩვენებელი**. II კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 20 ქულა***.

ქვიზის II კომპონენტი მასში შემავალი სასწავლო კურსების II კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

III კომპონენტი – სასწავლო კურსის შესწავლისას ათვისებული ***კლინიკური უნარ–ჩვევების შეფასება.*** III კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 15 ქულა.***

ქვიზის III კომპონენტი მასში შემავალი სასწავლო კურსების III კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

IV კომპონენტი – ზეპირ პრექვიზურ ჩათვლაში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება, ანუ ***ზეპირი ჩათვლის მაჩვენებელი.*** IV კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 20 ქულა.***

ქვიზის IV კომპონენტი მასში შემავალი სასწავლო კურსების IV კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

V კომპონენტი – სტუდენტის მიერ ქვიზზე როგორც ცალკეულ სასწავლო კურსში, ისე **მთლიანად ქვიზში** მიღებული ***დასკვნითი შეფასება*** ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ანუ ***გამოცდის მაჩვენებელი.*** V კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 40 ქულა.***

დასკვნითი შეფასების გამოსათვლელად საჭიროა გამოცდაზე (ქვიზზე) სტუდენტის მიერ, როგორც თითოელ სასწავლო კურსში, ისე ჯამურად, ანუ მთლიანად ქვიზში, ECTS-ს 100 ქულიანი სკალით დაგროვილი ქულა გამრავლდეს 0,4-ზე, რადგან სტუდენტის მოსწრების შესაფასებლად გამოყენებული კომპონენტებიდან ამ კომპონენტზე 40% მოდის.

7.3.2. **<u>პრექვიზური ქულა,</u>** სასწავლო კურსის შუალედური შეფასებების (ანუ პირველ ოთხ (I-IV) კომპონენტში სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულების) ჯამი პრექვიზური (ქვიზის წინა) მოსწრების შეფასებაა (***პრექვიზური ქულა***).

სტუდენტს პირველ ოთხ (I–IV) კომპონენტში შეუძლია დააგროვოს ***მაქსიმუმ 60 პრექვიზური ქულა.***

მთლიანად ქვიზის შუალედური შეფასებების ჯამი, ანუ **პრექვიზური ქულა**, მასში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსების შუალედური შეფასებების (პრექვიზურ ქულათა) საშუალო არითმეტიკულია.

7.3.3. ქვიზზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც თითოეული საგნობრივი ბლოკის, ისევე როგორც მოდულის შუალედური შეფასებების (I-IV კომპონენტების) დაჯამების შედეგად უგროვდება **31 ქულა**. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი ***ქვიზზე არ დაიშვება***.

7.3.4. ***ქვიზი ჩაითვლება*** თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე ანუ ქვიზში ECTS 100 ქულიანი სკალით ჯამში, ისევე როგორც თითოეულ საგნობრივ ბლოკში მოაგროვებს 51 ქულას ან მეტს. თუ ქვიზის ჯამური შეფასება 51 ქულის ტოლია ან აღემატება მას და საგნობრივი ბლოკების ნახევარზე მეტში (50% +1) სტუდენტი მოაგროვებს 51 ქულას ან მეტს, მას ***ქვიზი ჩაეთვლება პირობითად*** ჩავარდნილი საგნობრივი ბლოკების გადაბარებამდე. თუ ქვიზის ჯამური შეფასება 51 ქულის ტოლია ან აღემატება მას, მაგრამ სტუდენტმა საგნობრივი ბლოკების ნახევარში ან მეტში ECTS-ს 100 ქულიანი სკალით მიიღო 51 ქულაზე ნაკლები – ***ქვიზი არ ჩაითვლება***.

7.3.5. თუ სტუდენტმა ქვიზის ჩაბარებისას ან გადაბარებისას **პირობითად ჩათვალა** ქვიზი (მიიღო ჩათვლისთვის აუცილებელი ჯამური შეფასება არანაკლებ 51 ქულისა), მაგრამ საგნობრივი ბლოკების ნახევარზე ნაკლებში ვერ მოაგროვა 51 ქულა ან მეტი, მაშინ მან თითოეული ჩავარდნილი საგნობრივი ბლოკი უნდა გადააბაროს ტესტურად სემესტრის განმავლობაში.

7.3.6. ზოგადი სპეციალიზაციის სასწავლო კურსი ჩაითვლება თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე ანუ ქვიზში ECTS-ს 100 ქულიანი სკალით ამ სასწავლო კურსში მოაგროვებს 51 ქულას ან მეტს.

7.3.7. ზოგადი სპეციალიზაციის სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს.

7.3.8. ***ქვიზის საბოლოო შეფასება*** წარმოადგენს მასში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსების შუალედური შეფასებების საშუალო არიტმეტიკულისა და მთლიანად ქვიზის დასკვნითი შეფასების **(Quiz Total Score)** ჯამს.

7.3.9. მთლიანად ქვიზის, ისევე როგორც ზოგადი სპეციალიზაციის სასწავლო კურსების საბოლოო შეფასება ხდება როგორც ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ისე ECTS-ს რიცხვობრივი ექვივალენტით (ქულით) – **Grade Point (GP)** 1-დან 5-ის ჩათვლით და შესაბამისი ლათინური ასოებით, ანუ ნიშანით – **Mark** (იხ. პუნქტი **4.3.11**).

7.3.10. თუ სტუდენტმა ქვიზის საბოლოო შეფასებისას ჯამში დააგროვა 51 ქულაზე ნაკლები, კერძოდ, 41 – 50 ქულა, მაშინ ითვლება, რომ სტუდენტმა ქვიზი **ვერ ჩააბარა** [შეფასება FX (0)] და მას ეძლევა ამ ქვიზის განმეორებით ჩაბარების უფლება.

7.3.11. ქვიზის საბოლოო შეფასებისას სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად თუ მან ჯამში დააგროვა 41 ქულაზე ნაკლები (0 – 40 ქულა) და, შესაბამისად, მიიღო შეფასება F(0). ამ შემთხვევაში სტუდენტს არ ეძლევა ქვიზის გადაბარების უფლება, არ ენიჭება შესაბამისი კრედიტები და მას მოუწევს სასწავლო კურსების დანარჩენი კომპონენტების (I-IV) ხელახალი გავლა.

7.3.12. ქვიზის გადაბარება შეიძლება სემესტრის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ – სემესტრის ბოლოს.

8. შემაჯამებელი გამოცდები.

სწავლების თითოეული ეტაპი მთავრდება შემაჯამებელი საეტაპო გამოცდით.

8.1. შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა საბაზისო (თეორიულ) მედიცინაში.

8.1.1. საბაზისო (თეორიული) მედიცინის კურსის დამთავრების შემდეგ, III კურსის შემოდგომის (V) სემესტრის ბოლოს ბარდება ტესტირებული 400 – 450 კითხვიანი მაინტეგრირებელი შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა ერთდროულად თეორიული მედიცინის ყველა სასწავლო კურსში. ტესტირებულ კითხვათა რაოდენობა განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სასწავლო მოცულობის ქვოტების გათვალისწინებით.

8.1.2. საბაზისო მედიცინის შემაჯამებელ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ყველა მოდული.

8.1.3. საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი გამოცდის შედეგების შეფასება ხდება ქულებით, როგორც ჯამურად, ისე თითიეული სასწავლო კურსის მიხედვით კრედიტების, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გამოყენებით.

8.1.4. საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა **ჩაბარებულად** ითვლება, თუ სტუდენტმა გამოცდაზე ჯამში (Exam Total Score – ETS) დააგროვა 51 ქულა ან მეტი და იმავდროულად თითოეულ სასწავლო კურსში დააგროვა არანაკლებ 51 ქულისა. საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა ითვლება ***პირობითად ჩაბარებულად,*** თუ გამოცდის ჯამური შეფასება 51 ქულის ტოლია ან აღემატება მას, მაგრამ სტუდენტმა ჩასაბარებელი სასწავლო კურსების ნახევარზე ნაკლებში ვერ მიიღო ჩაბარებისთვის აუცილებელი მინიმალური ქულა – 51. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სტუდენტმა მომდევნო სემესტრის (VI სემესტრი) დაწყებამდე თითოეული ჩავარდნილი სასწავლო კურსის მასალა უნდა გადააბაროს ტესტურად. მხოლოდ ამ ტესტური გამოცდის ჩაბარების შემდეგ ითვლება სტუდენტი თეორიული მედიცინის კურსიდან კლინიკური მედიცინის კურსზე გადაყვანილად.

8.1.5. თუ სტუდენტმა საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი გამოცდაზე ჯამში (ETS) დააგროვა 50 ქულაზე მეტი, მაგრამ ჩასაბარებელი საგნების ნახევარში ან მეტში ვერ დააგროვა ჩაბარებისთვის აუცილებელი მინიმალური ქულა – 51 ან გამოცდაზე ჯამში დააგროვა 41 – 50 ქულა, მაშინ ითვლება, რომ სტუდენტმა საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი გამოცდა **ვერ ჩააბარა** [შეფასება FX(0)] და მას ეძლევა ამ გამოცდის განმეორებით ჩაბარების უფლება.

8.1.6. საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი გამოცდაში სტუდენტი ითვლება **ჩაჭრილად** თუ მან გამოცდაზე ჯამში (ETS) დააგროვა 41 ქულაზე ნაკლები (0 – 40 ქულა) და, შესაბამისად, მიიღო შეფასება F(0). ამ შემთხვევაში სტუდენტს არ ეძლევა საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი გამოცდის გადაბარების უფლება სასწავლო კურსების შუალედური შეფასების კომპონენტების ხელმეორედ გავლის გარეშე.

8.1.7. საბაზისო მედიცინის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის **შუალედური შეფასება** წარმოადგენს სტუდენტის მიერ მოდულებში მიღებული შეფასებების *(ქვიზის ქულების)* საშუალო არითმეტიკულს და შეადგენს საბოლოო შეფასების არაუმეტეს **60%-ს.**

8.1.8. საბაზისო მედიცინის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის **დასკვნითი შეფასება** შეადგენს საბოლოო შეფასების არაუმეტეს **40%-სა** და

წარმოადგენს სტუდენტის მიერ საბაზისო მედიცინაში ტესტირებულ მაინტეგრირებელ გამოცდაზე მოცემულ სასწავლო კურსში მიღებული ქულის 0.4–ზე ნამრავლს.

8.1.9. საბაზისო მედიცინის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის **საბოლოო შეფასება** წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.

8.1.10. საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდის, ისევე როგორც ცალკეული სასწავლო კურსების საბოლოო შეფასება ხდება როგორც ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ისე ECTS-ს რიცხვობრივი ექვივალენტით (ქულით) – **Grade Point (GP)** 1-დან 5-ის ჩათვლით და შესაბამისი ლათინური ასოებით, ანუ ნიშანით – **Mark.**

ჩააბარა/ ვერ ჩააბარა	ECTS-ს 100 ქულიანი სკალით	ECTS-ს რიცხობრივი ექვივალენტი (GP)	Mark (ნიშანი)
> 50 (Pass – ჩააბარა)	> 90	5	A (ფრიადი)
> 50 (Pass – ჩააბარა)	81 – 90	4	B (ძალიან კარგი)
> 50 (Pass – ჩააბარა)	71 – 80	3	C (კარგი)
> 50 (Pass – ჩააბარა)	61 – 70	2	D (დამაკმაყოფილებელი)
> 50 (Pass – ჩააბარა)	51 – 60	1	E (საკმარისი)
41 - 50	Fail	0	FX (ვერ ჩააბარა)
0 - 40	Fail	0	F (ჩაიჭრა)

8.1.11. საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდის, ისევე როგორც ამ გამოცდაში ჩავარდნილი სასწავლო კურსების ტესტურად გადაბარება შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

8.1.12. საბაზისო მედიცინაში შემაჯამებელი გამოცდის ჩაბარება სტუდენტის თეორიული მედიცინის კურსიდან კლინიკური მედიცინის კურსზე გადაყვანის საფუძველს იძლევა.

8.1.13. სტუდენტის მიერ საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი გამოცდის **ორჯერ ვერ ჩაბარების** შემთხვევაში [შეფასება F(0)], მას ეძლევა ამ გამოცდის განმეორებით ჩაბარების უფლება მხოლოდ მომდევნო სემესტრის ბოლოს, საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი გამოცდის სასწავლო ცხრილთ დანიშნულ ვადებში.

8.2. შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა კლინიკურ მედიცინაში.

8.2.1. V კურსის ბოლოს ტარდება ტესტური 400–500 კითხვიანი მაინტეგრირებელი შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა ერთდროულად კლინიკური მედიცინის ყველა სასწავლო კურსში. ტესტირებულ კითხვათა რაოდენობა განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სასწავლო მოცულობის ქვოტების გათვალისწინებით.

8.2.2. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ყველა მოდული.

8.2.3. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდის შედეგების შეფასება ხდება ქულებით, როგორც ჯამურად (ETS), ისე თითიეული სასწავლო კურსის მიხედვით კრედიტების, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გამოყენებით.

8.2.4. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა **ჩაბარებულად** ითვლება, თუ სტუდენტმა გამოცდაზე ჯამში დააგროვა 51 ქულა ან მეტი და იმავდროულად თითოეულ სასწავლო კურსში დააგროვა არანაკლებ 51 ქულისა. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა ითვლება ***პირობითად ჩაბარებულად,*** თუ გამოცდის ჯამური შეფასება 51 ქულის ტოლია ან აღემატება მას, მაგრამ სტუდენტმა ჩასაბარებელი სასწავლო კურსების ნახევარზე ნაკლებში ვერ მიიღო ჩაბარებისთვის აუცილებელი მინიმალური ქულა – 51. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სტუდენტმა მომდევნო სასწავლო წლის (VI კურსის) დაწყებამდე თითოეული ჩავარდნილი სასწავლო კურსის მასალა უნდა გადააბაროს ტესტურად. მხოლოდ ამ ტესტური გამოცდის ჩაბარების შემდეგ ითვლება სტუდენტი კლინიკური მედიცინის კურსიდან ზოგადი სპეციალიზაციის კურსზე გადაყვანილად.

8.2.5. თუ სტუდენტმა კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი გამოცდაზე ჯამში დააგროვა 50 ქულაზე მეტი, მაგრამ ჩასაბარებელი საგნების ნახევარში ან მეტში ვერ დააგროვა ჩაბარებისთვის აუცილებელი მინიმალური ქულა – 51 ან გამოცდაზე ჯამში დააგროვა 41 – 50 ქულა, მაშინ ითვლება, რომ სტუდენტმა ეს გამოცდა **ვერ ჩააბარა** [შეფასება FX(0)], და მას ეძლევა ამ გამოცდის გადაბარების უფლება.

8.2.6. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი გამოცდაში სტუდენტი ითვლება **ჩაჭრილად** თუ მან გამოცდაზე ჯამში დააგროვა 41 ქულაზე ნაკლები (0 – 40 ქულა) და, შესაბამისად, მიიღო შეფასება F(0). ამ შემთხვევაში სტუდენტს არ ეძლევა კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი გამოცდის გადაბარების უფლება სასწავლო კურსების შუალედური შეფასების კომპონენტების ხელმეორედ გავლის გარეშე.

8.2.7. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის **შუალედური შეფასება** წარმოადგენს სტუდენტის მიერ მოდულებში მიღებული შეფასებების ***(ქვიზის ქულების)*** საშუალო არითმეტიკულს და შეადგენს საბოლოო შეფასების არაუმეტეს **60%-ს.**

8.2.8. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის **დასკვნითი შეფასება** შეადგენს საბოლოო შეფასების არაუმეტეს **40%-სა** და წარმოადგენს სტუდენტის მიერ კლინიკურ მედიცინაში ტესტირებულ მაინტეგრირებელ გამოცდაზე მოცემულ სასწავლო კურსში მიღებული ქულის 0.4–ზე ნამრავლს.

8.2.9. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის **საბოლოო შეფასება** წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასების ჯამს.

8.2.10. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდის, ისევე როგორც კლინიკური მედიცინის ცალკეული სასწავლო კურსების საბოლოო შეფასება ხდება როგორც ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ისე ECTS-ს რიცხვობრივი ექვივალენტით (ქულით) – **Grade Point (GP)** 1-დან 5-ის ჩათვლით და შესაბამისი ლათინური ასოებით, ანუ ნიშანით – **Mark** (იხ. პუნქტი **8.1.10**).

8.2.11. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდის, ისევე როგორც ამ გამოცდაში ჩავარდნილი სასწავლო კურსების ტესტურად გადაბარება შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

8.2.12. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდის ჩაბარების შემდეგ სტუდენტი გადადის კლინიკური მედიცინის კურსიდან ზოგადი სპეციალიზაციის კურსზე (VI კურსზე).

8.2.13. სტუდენტის მიერ კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი გამოცდის **ორჯერ ვერ ჩაბარების** შემთხვევაში [შეფასება F(0)], მას ეძლევა ამ გამოცდის განმეორებით

ჩაბარების უფლება მხოლოდ მომდევნო სემესტრის ბოლოს, კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი გამოცდის სასწავლო ცხრილთ დანიშნულ ვადებში.

8.3. ზოგადი სპეციალიზაციის საკვალიფიკაციო გამოსაშვები ზეპირი გამოცდები.

8.3.1. ზოგადი სპეციალიზაციის (VI კურსი) დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უტარდება საკვალიფიკაციო გამოსაშვები ზეპირი გამოცდები ერთდროულად ყველა იმ საგანში, რაშიც სტუდენტმა ზოგადი სპეციალიზაცია გაიარა (შინაგანი სნეულებანი, ქირურგიული სნეულებანი, მეან-გინეკოლოგია, პედიატრია, ინფექციური და ნერვული სნეულებანი).

8.3.2. საკვალიფიკაციო გამოსაშვები ზეპირი გამოცდების შეფასება წარმოებს ნიშნებით, რომლებსაც ECTS-ს 100 ქულიანი სკალით შეესაბამება შემდეგი ქულები: A(5) – ფრიადი – 95 ქულა; B(4) – ძალიან კარგი – 85 ქულა; C(3) – კარგი – 75 ქულა; D(2) – დამაკმაყოფილებელი – 65 ქულა და E(1) – საკმარისი – 55 ქულა.

8.3.3. საკვალიფიკაციო გამოსაშვები ზეპირი გამოცდებიდან ერთი ან რამდენიმე გამოცდის ვერ ჩაბარების (FX (0) – Fail) შემთხვევაში სტუდენტს ამ გამოცდის (გამოცდების) გადაბარება შეუძლია ერთი თვის შემდეგ.

8.3.4. საკვალიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი სამკურნალო საქმის სპეციალობით და მიეცემა შესაბამისი დიპლომი.

9. შეღავათები წარჩინებულ სტუდენტთათვის

თითოეული სასწავლო წლის დასრულების შემდეგ დგინდება მომდევნო სასწავლო წლისთვის სწავლების ღირებულების გადახდის შეღავათები იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც სწავლის შედეგების მიხედვით წარჩინებით დაასრულეს სასწავლო წელი.

9.1. საბაზისო მედიცინის შესწავლისას სწავლების ღირებულების გადახდის შეღავათები ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომლებმაც სასწავლო წლის განმავლობაში ცხრილით დადგენილ ვადებში ჩააბარეს ყველა მოდული (ხოლო III კურსზე - ყველა მოდული და შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა) და მიღებული საბოლოო შეფასებების საშუალო არითმეტიკული ECTS 100 ქულიანი სკალით ექნებათ 86 ქულა და მეტი. ამ მაჩვენებლის მიხედვით სწავლების ღირებულების გადასახადი მცირდება შემდეგი ოდენობით: 96 – 100 ქულა – თავისუფლდება გადასახადისგან; 91-დან – 96 ქულამდე – გადასახადი მცირდება 50%–ით; 86-დან – 91 ქულამდე – გადასახადი მცირდება 25%–ით.

9.2. კლინიკური მედიცინის შესწავლისას სწავლების ღირებულების გადახდის შეღავათები ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომლებმაც სასწავლო ცხრილით დადგენილ ვადებში ჩააბარეს ყველა მოდული (ხოლო V კურსზე - ყველა მოდული და შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა) და მიღებული საბოლოო შეფასებების საშუალო არითმეტიკული ECTS-ს 100 ქულიანი სკალით ექნებათ 86 ქულა და მეტი. ამ მაჩვენებლის მიხედვით სწავლების ღირებულების გადასახადი მცირდება შემდეგი

ოდენობით: 96 – 100 ქულა – თავისუფლდება გადასახადისგან; 91-დან – 96 ქულამდე – გადასახადი მცირდება 50%–ით; 86-დან – 91 ქულამდე – გადასახადი მცირდება 25%–ით.

10. აკადემიური ჯგუფების დაკომპლექტება.

თითოეულ კურსზე აკადემიური ჯგუფების დაკომპლექტება ხდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებისა და სასწავლო წლის განმავლობაში მოდულებსა და შემაჯამებელ საეტაპო გამოცდებზე დაგროვილი ქულების მიხედვით.

10.1. I კურსის I სემესტრში აკადემიური ჯგუფების დაკომპლექტება ხდება სტუდენტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების მიხედვით. I ჯგუფი კომპლექტდება სტუდენტებით, რომლებმაც მაღალი ქულები მიიღეს, II ჯგუფი – მომდევნო ქულების მქონე სტუდენტებით და ა.შ.

10.2. I კურსის II სემესტრში, ისევე როგორც II და მომდევნო კურსებზე აკადემიური ჯგუფების დაკომპლექტება ხდება სემესტრულად – სტუდენტების მიერ წინა სემესტრის მოდულებში მიღებული ქულების დაჯამებით.

10.3. აკადემიური ჯგუფი კომპლექტდება შემდეგი კრიტერუმების შესაბამისად:

10.3.1. სტუდენტებით, რომლებმაც სასწავლო ცხრილით დადგენილ ვადებში ჩააბარეს **სამივე** მოდული და მიღებული ქულების დაჯამებით მეტი ქულა დააგროვეს.

10.3.2. სტუდენტებით, რომლებმაც **ერთი** მოდულის გადაბარების შემდეგ ჩააბარეს **სამივე** მოდული და მიღებული ქულების დაჯამებით მეტი ქულა დააგროვეს.

10.3.3. სტუდენტებით, რომლებმაც **ორი** მოდულის გადაბარების შემდეგ ჩააბარეს **სამივე** მოდული და მიღებული ქულების დაჯამებით მეტი ქულა დააგროვეს.

10.3.4. სტუდენტებით, რომლებმაც **სამი** მოდულის გადაბარების შემდეგ ჩააბარეს **სამივე** მოდული და მიღებული ქულების დაჯამებით მეტი ქულა დააგროვეს.

10.4. III კურსის II სემესტრში (VI სემესტრი) და VI კურსზე აკადემიური ჯგუფების დაკომპლექტება ხდება შემაჯამებელ საეტაპო გამოცდებში მიღებული ქულების მიხედვით.

11. პედაგოგების რეიტინგული შეფასება.

თითოეულ კურსზე სასწავლო წლის ბოლოს სტუდენტების ანონიმური გამოკითხვის (ანკეტირების) გზით ტარდება პედაგოგების რეიტინგული შეფასება. პედაგოგიური პერსონალის ხელახალი არჩევნების ან მოწვეულ პედაგოგებთან ხელახალი ხელშეკრულების გაფორმებისას უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაცია ითვალისწინებს პედაგოგის რეიტინგული შეფასებას, რომელიც სტუდენტების ანონიმური გამოკითხვის შედეგად იყო მიღებული.

12. შესარჩევი გამოცდები აშშ–ს ექიმის სერთიფიკატის მოსაპოვებლად.

12.1. როგორც საბაზისო (თეორიულ), ისე კლინიკურ მედიცინაში შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა იმავე დროს წარმოადგენს აშშ–ს ექიმის სერტიფიკატის როგორც საბაზისო მედიცინის ნაწილის – **USMLE (United States Medical Licencing Examination) Step 1**-ის, ისე კლინიკური მედიცინის ნაწილის – **USMLE (United States Medical Licencing Examination) Step 2**-ის შესარჩევ გამოცდას.

12.2. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, რომლებმაც ჩააბარეს შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა, აშშ–ს ექიმის სასერტიფიკატო გამოცდის დაფინანსების მოსაპოვებელად ინიშნება **სასელექციო გამოცდა**.

12.3. სასელექციო გამოცდა ტარდება წელიწადში ორჯერ (შემოდგომასა და გაზაფხულზე).

12.4. როგორც საბაზისო, ისე კლინიკურ მედიცინაში სასელექციო გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შესაბამისი შემაჯამებელი საეტაპო გამოცდის ჩაბარებიდან **არა ნაკლებ 6 თვის შემდეგ**. ამ ვადაზე უფრო ადრე სტუდენტი შეიძლება დაიშვას სასელექციო გამოცდაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე (პირველივე ჯერზე და არა გადაბარების შედეგად) ჯამურად დააგროვებს **65** ნედლ ქულას ან მეტს; ამასთან აუცილებელია თითოეულ სასწავლო კურსში მინიმუმ **51** ნედლი ქულის დაგროვება.

12.5. როგორც საბაზისო, ისე კლინიკურ მედიცინაში აშშ–ს ექიმის სასერტიფიკატო გამოცდის დაფინანსების მოსაპოვებელად, სასელექციო გამოცდაზე სტუდენტმა ჯამურად უნდა დააგროვოს **75** ან მეტი **ნედლი ქულა** და, ამასთან, აუცილებელია თითოეულ სასწავლო კურსში მინიმუმ **51 ნედლი ქულის** დაგროვება.

12.6. სასელექციო გამოცდაზე სტუდენტის მიერ მოპოვებული დაფინანსება ძალაშია ერთი წლის განმავლობაში. თუ სტუდენტი ერთი წლის განმავლობაში არ ან ვერ გავა **USMLE Step 1 (2)**-ის გამოცდაზე მის მიერ მოპოვებული დაფინანსება ანულირდება.

12.7. სასელექციო გამოცდაზე დამამთავრებელი სემესტრის (VI კურსის II სემესტრი) სტუდენტის მიერ მოპოვებული დაფინანსება ძალაშია კურსდამთავრებულის სტატუსის მინიჭებიდან 6 თვის ვადაში.

12.8. სასელექციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი მიავლენს სტუდენტს აშშ–ს ექიმის სერტიფიკატის მოსაპოვებელი შესაბამისი გამოცდის (თეორიული ან კლინიკური ნაწილის) ჩასაბარებლად კომისიის ერთ–ერთ საგამოცდო ცენტრში. ამასთან, ამ გამოცდის ჩაბარებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს დაფარავს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი.

12.9. **USMLE** ორივე გამოცდის (**Step 1** და **Step 2**) ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტი მიემგზავრება აშშ–ში **Clinical Skill Assessment (CSA)**-ის ჩასაბარებლად. ამ უკანასკნელის ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტი ღებულობს აშშ–ს ექიმის სერტიფიკატს.

12.10. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სწავლების პირობებსა და ფინანსურ მხარეს, USMLE გამოცდებზე სტუდენტის გაგზავნის კრედიტირების საკითხებს, აგრეთვე აშშ–ს ექიმის სერტიფიკატის მიღების შემდეგ რეზიდენტურაში გაგზავნის და სხვა პირობებს.

12.11. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი პასუხისმგებელი არ არის სტუდენტის ან კურსდამთავრებულის მიერ უცხო ქვეყანაში შესასვლელი ვიზის მიღებაზე.

12.12. აშშ–ს ექიმის სერტიფიკატის მოსაპოვებელი გამოცდების დაფინანსებას დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტობის წლებში, აგრეთვე უნივერსიტეტის დამთავრებიდან ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასწავლებლის დამთავრებამდე სტუდენტს ჩაბარებული აქვს **USMLE–ის Step 1**, ჩააბარებს მომდევნო საფეხურის სასელექციო გამოცდას და **USMLE–ის** საგამოცდო ცენტრში წარდგენილი ექნება განაცხადი.